პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 224 (9692) | შაბათი, 22 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის სიტყვა 1953 წლის 19 სექტემბერს კრემლში გამართულ სადილზე (1-ლი და მე-2 გვერდი).
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის სიტყვა 1953 წლის 19 სექტემბერს კრემლში გამართულ სადილზე (მე-2 გვერდი).
საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
მექანიზატორები მიდიან სოფლად [illegible] (მე-2 გვერდი).
საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია [illegible] (მე-2 გვერდი).
მრეწველობის მუშაკები — [illegible] (მე-2 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
პ. მელნიკოვი. — დროების სუნთქვა (მე-3 გვერდი).
გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის სიტყვა

## 1953 წლის 19 სექტემბერს კრემლში გამართულ სადილზე

ღრმად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, ღრმად პატივცემულო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებო!

ნება მიბოძეთ აქ, მოსკოვში, მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით მივესალმო გმირ კორეულ ხალხს, რომელმაც თავისი სამშობლო დაიცვა ინტერვენტთა ხელყოფისაგან. მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად საბჭოთა ადამიანები ღრმა მეგობრობას გრძნობით არიან გამსჭვალულნი კორეელი ხალხისადმი.

დღეს სიტყვა კორეელი გახდა ეროვნული სულის სიდიადისა და სიმტკიცის სიმბოლო, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისადმი კეთილშობილური და თავდადებული სამსახურის სიმბოლო.

სახელოვანმა კორეელმა ხალხმა ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. და ეს ფურცელი გვასწავლის, რომ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ქედი მოახრევინოს ხალხს, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო თავისი ქვეყნის ბედი.

ორი წყარო ასაზრდოებდა კორეელ პატრიოტთა გამარჯვების ნებას, მათ სიმამაცესა და გმირობას ბრძოლაში: თავიანთი საქმის დიდი სიმართლის შეგნება და მთელი პროგრესული კაცობრიობის უმაგალითო სოლიდარობა კორეელ ხალხთან.

ჩინელ სახალხო მოხალისეთა უკვდავი გმირობა მოწმობს იმას, თუ რა ურღვევი კავშირი აერთიანებს აზიის ხალხებს. ეს იმის ნიშანია, რომ აღმოსავლეთში დაიწყო ახალი ეპოქა, ამის ნიშანია, რომ აზიის ხალხებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მოიპოვონ და დაიცვან ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არ დაუშვან, რომ აზია გადაიქცეს ახალი მსოფლიო ომის კერად.

მშვიდობისმოყვარე ხალხები მადლობით აღიარებენ კორეელი ხალხისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ისტორიულ დამსახურებას, რომლებმაც დაიცვეს აღმოსავლეთში მშვიდობის საქმე და საგრძნობლად შეუნელეს რახი აგრესორებს, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი. კორეის მინდვრებში გმირული ბრძოლით სახელოვანმა კორეელმა და ჩინელმა პატრიოტებმა ფრიად საგრძნობი ლახვარი ჩასცეს რეაქციული ძალების იმ შორსგამიზნულ გეგმებს, რომ ჩაახშონ აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ხალხთა პროგრესული მოძრაობა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

აგრესიულ წრეებს არ უნდათ ანგარიში გაუწიონ იმ უდავო ფაქტს, რომ ძველი აზია, რომლის ხვედრი იყო უცხოელთა ძალების მიერ ხალხთა ულმობელი ჩაგვრა და დამონება, წარსულს ბარდება. მათ სურთ შეაჩერონ, ჩაფუშონ აღმოსავლეთის ხალხთა აღორძინების ის დიადი პროცესი, რომელიც შეადგენს ჩვენი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას და რომელიც სახავს მთელი თანამედროვე ცივილიზაციის შემდგომი აღმავლობის შთამაგონებელ პერსპექტივებს.

განა შეიძლება ჩვენს დროში მოიძებნოს ისეთი ამერიკელი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ 175 წლის წინათ ჩრდილოეთ ამერიკაში მიღებული ცამეტი კოლონიის გადაწყვეტილება — ბოლო მოეღოთ თავიანთი კოლონიური დამოკიდებულებისათვის და შეექმნათ ამერიკის შეერთებული შტატები — არ წარმოადგენდა ისტორიული პროგრესის აქტს? განა შეიძლება ჩვენს დროში მოიძებნოს ისეთი ამერიკელი, რომელიც ამტკიცებდეს, თითქოს დამოუკიდებლობას დეკლარაციას უკანონო ხასიათი აქვს, რამდენადაც მან საჯაროდ გამოაცხადა, როგორც აშკარა ჭეშმარიტება, ხალხის უფლება — შექმნას ხელისუფლება ისეთ პრინციპებზე და ისეთი ფორმით, „რომელსაც იგი ყველაზე ხელსაყრელად მიიჩნევს თავისი უშიშროებისა და ბედნიერების განხორციელებისათვის“? ცხადია, არ შეიძლება. მაშ რატომ არის ამ შემთხვევაში, რომ ამერიკის გავლენიანი წრეები უხეშად ერევიან აღმოსავლეთის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, ახორციელებენ ბლოკადას და პროვოკაციულად იწვევენ ომს მათ წინააღმდეგ, თუ ამ სახელმწიფოების ხალხები ირჩევენ მართვა-გამგეობის ისეთ ფორმებს, რომლებიც ხელს არ აძლევს ვაშინგტონის პოლიტიკოსებს? როგორც ჩანს, აქ მოქმედებს ფრიად თავისებური ფილოსოფია: რაც შეშვენოდა ამერიკელებს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დამლევს, ის ჩინელებს, ინდოელებს, კორეელებს, ინდონეზიელებს მე-20 საუკუნის მეორე ნახევარშიც კი არ შეშვენითო. მაგრამ ეს ხომ რასიზმის ძველი ჰანგია; ეს არის ისეთი პოლიტიკის განხორციელების ცდა, რომელიც ზიანს აყენებს ხალხთა ისტორიული პროგრესის საქმეს. და თუ ზოგიერთი ამერიკელი მოღვაწე ამასთანავე თავს ნებას აძლევს გაეხვიოს „ძველი კოლონიური პოლიტიკის“ მოწინააღმდეგეთა სამოსელში, უნდა ითქვას, რომ მათი ახალი კოლონიური პოლიტიკა დიდად აჭარბებს ექსპანსიის ყველა დღემდე ცნობილ მაგალითს, რომ მას აქვს აგრესიული ხასიათი და მიზნად ისახავს მსოფლიოს ძირეულად გადანაწილებას ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ.

დროა შეიგნონ, რომ ისტორია ვითარდება არა იმათი კარნახით, ვისაც სურს მისი დაკონსერვება, ვისაც სურს შეაჩეროს ხალხთა მოძრაობა პროგრესის გზაზე, თავს მოახვიოს კაცობრიობის მომავალს მისი გუშინდელი დღე. მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რა ხდება მსოფლიოში, შეუძლიათ თავიანთი საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში იმით გამოხატონ, რომ მხარი დაუჭირონ სწორედ იმ პიროვნებებსა და ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ ყოველივე უაღრესად ჩამორჩენილის, საძაგლის, ძირმომპალის განსახიერებას. მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც განზრახ ესწრაფვიან ხელოვნურად გაართულონ ვითარება აღმოსავლეთში, შეუძლიათ ნება მისცენ თავს აბუჩად აიგდონ დიდი ჩინელი ხალხი და დაეყრდნონ ანტიხალხურ ნაძირალებს, როგორიც არის ჩანკაიშელთა ხროვა.

ასეთი პოლიტიკა ბეცი პოლიტიკაა. ვინაიდან არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას ძირეული ცვლილებები, რაც აზიაში და წყნარი ოკეანის აუზში მოხდა და რაც თავის კვალს აჩნევს ამ რაიონის მილიარდზე მეტი ადამიანის ომისშემდგომ ცხოვრებას.

კორეაში დროებითი ზავის დადება, უეჭველია, აგრესიისა და საერთაშორისო ავანტიურების ძალთა წინააღმდეგ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ნაშანსვეტია. მან ცხადყო, რომ მშვიდობისმოყვარე ძალებს შეუძლიათ მიაღწიონ მწვავე საერთაშორისო პრობლემების ჯეროვნად გადაჭრას, თუ ისანი ამასთან სიმტკიცესა და შეუპოვრობას გამოიჩენენ.

ამავე დროს შეუწყნარებელი იქნებოდა აღმოსავლეთში აგრესიული ძალების ახალი ხრიკების უყურადღებოდ დატოვება. ამ ხრიკების მიზანი სავსებით აშკარაა — ჩაფუშონ დაზავება კორეაში, გაამწვავონ ვითარება აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში.

ამას წინათ, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა და ლი სინ მანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „განუსაზღვრელი ვადით“ ეძლევათ უფლება განალაგონ თავიანთი სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები „კორეის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ახლოს“. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ აქამდე სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე ამერიკის შეიარაღებული ძალების ყოფნას ომით ასაბუთებდნენ, ახლა მას დაასაბუთებენ ეგრეთწოდებული ხელშეკრულებით ურთიერთუშიშროების შესახებ. საქმის არსი კი უცვლელი რჩება: განზრახული აქვთ სამხრეთ კორეა კვლავაც იყოლიონ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პლაცდარმის მდგომარეობაში, რაც, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება კორეის საკითხის საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგებისა და აზიაში უშიშროების განმტკიცების მოთხოვნებს.

საჭიროა აგრეთვე დავძინოთ, რომ მშვიდობისმოყვარე ძალები კანონიერად გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოზიციას იმ პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობისა და მუშაობის წესის საკითხში, რომლის მოწვევაც გათვალისწინებულია კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებით. ამ პოზიციის შედეგად კონფერენციის გარეთ დარჩა ინდოეთი, აგრეთვე აღმოსავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფო, რომელთა მონაწილეობა კონფერენციაში არ შეიძლება საეჭვოდ ჩაითვალოს.

ყოველივე ეს სრულიადაც არ მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მისწრაფებას — განამტკიცონ კორეაში მიღწეული დაზავება და შემდგომი ნაბიჯი გადადგან კორეის საკითხის საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ.

მით უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს. მათ შეუძლიათ გადააქციონ და კიდევაც უნდა გადააქციონ კორეაში დაზავება ახალ ღონისძიებათა ამოსავალ პუნქტად, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება მთელ მსოფლიოში, მათ შორის აღმოსავლეთშიც.

ობიექტური პირობები აღმოსავლეთის მოწინავე საზოგადოებრივ ძალებს საშუალებას აძლევენ გადააქციონ აზია მშვიდობის ციხე-სიმაგრედ, და საჭიროა მხურვალედ ვუსურვოთ აზიის ყველა ხალხს წარმატება ამ კეთილშობილური ამოცანის გადაჭრაში.

ამ ობიექტურ პირობებს შორის უმნიშვნელოვანესია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო წონა და პოლიტიკა. მრავალი ათეული წლის მანძილზე იმპერიალისტური ჯგუფების ბრძოლა ჩინეთში ბატონობისათვის საერთაშორისო ურთიერთობის განსაკუთრებულ დაძაბულობას ქმნიდა აღმოსავლეთში. ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში გამოდის როგორც სტაბილიზაციის მძლავრი ფაქტორი. სწორედ იმიტომ არიან გაბოროტებული აგრესიულ საქმეთა ოსტატები, რომ ჩინეთი აღარ არის და არასოდეს აღარ იქნება მათი ხრიკებისა და ექსპლოატაციის ობიექტი, რომ მან არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტიურადაც მოიპოვა სუვერენიტეტი, რომ იგი საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის არა როგორც სტატისტი, არამედ ახორციელებს თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას. მსოფლიოში გაჩნდა ახალი დიდი სახელმწიფო, რომელიც მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იცავს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს. ეს უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო ცხოვრების განვითარების ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანესი ისტორიული შედეგია, რომელიც აშუქებს არა მარტო განვლილ გზას, არამედ პერსპექტივებსაც.

ამავე დროს ზოგიერთი წრეები ჩინეთის მიმართ ეწევიან აგრესიულ პოლიტიკას და ცდილობენ განახორციელონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იზოლაცია. ცხადია, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რაღაც „იზოლაციის“ შესაძლებლობის ყოველი ვარაუდი სხვა არაფერია, თუ არა რეაქციული უტოპია იმ ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრებას მოსწყდნენ და რეალურის გრძნობა დაკარგეს.

განა დრო არ არის არქივს ჩაბარდეს პოლიტიკა, რომელიც, საღი აზრისა და ისტორიული აუცილებლობის მოთხოვნების წინააღმდეგ, ემყარება იმას, რომ ამჟამად თითქოს შეიძლებოდეს ხალხთა შორის მშვიდობის დამყარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრა დიდი ჩინეთის მონაწილეობის მიუღებლად.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირისა და მშვიდობისმოყვარე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობა მშვიდობის მძლავრი ბურჯია. სწორედ ამიტომ ამ მეგობრობას მიესალმება ყველა ხალხი, რომ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 19-20 სექტემბერს მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ჩხიკვაძის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ვერ უზრუნველყვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების შესრულება, და არადამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება.

პლენუმმა ამხ. ა. ი. მირცხულავა გაათავისუფლა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად აარჩია ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, დ. ზ. რომელაშვილი, ვ. მ. ჩხიკვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ა. ი. ანტონოვი, ა. ნ. ინაური, მ. ი. კუჭავა, ო. დ. გოცირიძე და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად ამხანაგები მ. პ. გიორგაძე და ა. ლ. გუნია.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება 1953 წ. დეკემბერ-1954 წ. თებერვალში მოეწყოს პარტორგანოების ანგარიშგება და არჩევნები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ნ. ნ. შატალინმა**.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**.

ქ. თბილისი, 1953 წ. 21 სექტემბერი.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. მ. ბაქრაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**.

ქ. თბილისი, 1953 წ. 21 სექტემბერი.



**სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ა. ი. მიქოიანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ტენ დიუნ თხიაკი**, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **პაკ დენ აი**, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **ნამ ირი**, ვ. მ. მოლოტოვი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე **კიმ ირ სენი**, გ. მ. მალენკოვი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზების მინისტრი **კიმ ხე ილი**, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურისა და პროპაგანდის მინისტრი **ხო დენ სუკი**, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე **ტენ ირ ლენი**, ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში **ჯან ვენ-ტიანი**, ნ. ა. ბულგანინი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში **ლიმ ხე**, ლ. მ. კაგანოვიჩი.

ფოტო ფ. კისლოვისა.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
# გ. მ. მალენკოვის სიტყვა
### 1953 წლის 19 სექტემბერს კრემლში გამართულ სადილზე

(დასასრული. დასაწყისი იხ. 1-ლ გვერდზე)

ლებსაც იგი ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პირობად მიაჩნიათ.

მშვიდობისა და აღმოსავლეთში უშიშროების განმტკიცების ნიშნით განვითარებისას, აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ყველა ქვეყანას მიეცემოდა განსაკუთრებული შესაძლებლობა დაემყარებინათ მშვიდობიანი ეკონომიური ურთიერთობა როგორც ერთმანეთთან, ისე მსოფლიოს სხვა რაიონებთან. თავის მხრივ ეს შექმნიდა საჭირო პირობებს იმისათვის, რომ ახლებურად მიეუდგეთ ბევრი სახელმწიფოს მიერ აზიის ქვეყნებისათვის კონსტრუქციული და ქმედითი დახმარების გაწევის საკითხის გადაჭრას.

ძვირფასო მეგობრებო! ნება მიბოძეთ თქვენი მეშვეობით გმირ კორეელ ხალხს განვუცხადო, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გამსჭვალულია მის მიმართ გულითადი მეგობრული გრძნობებით. ჩვენი ხალხების მეგობრობა აგებულია ჩვენი ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთ პატივისცემის მტკიცე საფუძველზე, იმისათვის ურთიერთ მზადყოფნის საფუძველზე, რომ ვემსახუროთ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი საფუძველი არსებობს მისი შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხები მოხარული არიან, რომ კორეელ ხალხთან ურღვევი მეგობრობით დაკავშირებულია აგრეთვე დიდი ჩინელი ხალხი. ჩინელი ხალხის გმირმა შვილებმა ეს მეგობრობა განამტკიცეს თავიანთი სისხლით, რომელიც კორეის მიწა-წყალზე დაღვარეს სიმართლის გამარჯვებისათვის, კორეელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. დაე მარად ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს ჩინეთისა და კორეის ხალხთა სახელოვანი მეგობრობა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა განასახიერებს კორეელი ხალხის საუკეთესო იმედებს, რომელიც ისწრაფვის აღადგინოს თავისი ეროვნული ერთიანობა, ესწრაფვის მშვიდობასა და პროგრესს.

ეჭვი არ არის, რომ უკვე უახლოეს მომავალში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დიდ წარმატებებს მიაღწევს კორეის ეკონომიკისა და კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში, თავისი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

საბჭოთა კავშირი ყოველი ღონისძიებით დაეხმარება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მოიშუშოს ინტერვენტების მიერ მიყენებული ჭრილობები.

ინტერვენტების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლებში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის მასებმა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყვეს თავიანთი უდიდესი დარაზმულობა და ერთიანობა, რომელსაც საფუძვლად უდევს კორეის მშრომელი ხალხის ისტორიული მონაპოვარი — მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. დაე ჩვენი კორეელი ძმები კვლავაც თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ ამ წმიდა კავშირს და დაუცხრომლად იზრუნონ მისი ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ სისხამი დილის ქვეყანა, როგორც კორეას უწოდებენ, მალე მოიპოვებს სრულ მშვიდობას და დაადგება ყოველმხრივი აღმავლობის გზას.

მე ვადღეგრძელებ საბჭოთა კავშირისა და კორეის ურღვევ მეგობრობას, გმირ კორეელ ხალხს, ვისურვებ კორეის საკითხის საბოლოო მშვიდობიან მოწესრიგებას და კორეელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენას, ვსვამ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და თქვენს სადღეგრძელოს, ამხანაგო პრემიერ-მინისტრო.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის
# კიმ ირ სენის სიტყვა
### 1953 წლის 19 სექტემბერს კრემლში გამართულ სადილზე

ღრმად პატივცემულო თავმჯდომარევ ამხანაგო მალენკოვ!

ძვირფასო ამხანაგებო!

[illegible]

ხალხის თავდადებული შრომის [illegible] კორეაში განთავისუფლების შემდეგ სწრაფად ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე და შეიქმნა მძლავრი დემოკრატიული ბაზა ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაზე ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების—ლი სინ მანის ხროვის შეიარაღებულმა თავდასხმამ გამოიწვია ჩვენს ხალხში საყოველთაო-სახალხო აღშფოთება და სიძულვილი აგრესორებისადმი. ჩვენი ხალხი, რომელმაც იარაღი აისხა და ერთსულოვნად დაირაზმა თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად და სახალხო-დემოკრატიული წყობილების დასაცავად, უმაგალითო გმირობას იჩენდა ჩინელ სახალხო მოხალისეებთან ერთად.

ჩინელი ხალხის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის ძმური დახმარებისა და მხარდაჭერის მეოხებით, რომელსაც დიდი საბჭოთა ხალხი მეთაურობს, კორეელმა ხალხმა დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩაუფუშა ამერიკელ იმპერიალისტებს ჩვენი ქვეყნის დამონების აგრესიული გეგმები და აიძულა ისინი ხელი მოეწერათ დაზავების შეთანხმებაზე.

სავსებით სამართლიანია როცა მიაჩნიათ, რომ ეს არის არა მარტო კორეელ და ჩინელ ხალხთა გამარჯ-

[illegible]

აგრეთვე იგი მიიღებს დახმარებას, რომელიც დიდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში.

ეს დახმარება აგრეთვე განამტკიცებს მეგობრობას კორეელ და საბჭოთა ხალხებს შორის, განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს ჩვენს ქვეყანაში, ახალ წვლილს შეიტანს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევის და აზიაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

ჩვენს ხალხს მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად უსაზღვროდ ახარებს საბჭოთა ხალხის დიდი წარმატებანი, რომლებიც მან საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისა და კაცობრიობის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად. ჩვენი ხალხი გულწრფელად უსურვებს საბჭოთა ხალხს შემდგომ და ახალ წარმატებებს.

ერწმუნეთ ჩემს თქვენდამი უდიდეს პატივისცემას და ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ ვუძღვნა დიდი მადლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, პატივცემულო ამხანაგო მალენკოვ, ნება მიბოძეთ შევსვა თქვენი სადღეგრძელო.

## მექანიზატორები მიდიან სოფლად სამუშაოდ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდებამ — მივაღწიოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას, შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვე, — დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებში. ქალაქში მომუშავე მრავალი სპეციალისტი სურვილს გამოთქვამს მუდმივ სამუშაოდ წავიდეს სოფლად.

ამის მაგალითს იძლევა ინჟინერ-მექანიზატორი ამხ. რ. უროტაძე, რომელმაც პირველმა მიმართა განცხადებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების სამმართველოს.

რ. უროტაძემ 1936 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. რამდენიმე წლიწადს მუშაობდა ხაშურისა და გორის მტს-ებში. უკანასკნელ წლებში იგი სამუშაოდ მოეწყო თბილისის ლოკომოტივების შემკეთებელ ქარხანაში. ჯერ იყო სადიზელე საამქროს ოსტატი, შემდეგ კი სატრანსპორტო საამქროს უფროსი.



რ. უროტაძე.

* * *

„გავეცანი რა მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას და ამ პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, — წერს თავის განცხადებაში რ. უროტაძე, — მსურს ვიმუშაო სოფლად, რათა შევიტანო ჩემი წვლილი მექანიზაციის ფართოდ დანერგვით უხვი მოსავლის მიღებაში, პირნათლად შევასრულო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი. ამისათვის გთხოვთ გამგზავნოთ სოფლად სამუშაოდ“.

მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. რ. უროტაძე გაიგზავნა წითელწყაროს მტს-ში მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად.

ასეთივე პატრიოტული ნაბიჯი გადადგა ავთანდილ ჯანდიერმა, რომელმაც 1949 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მექანიზაციის განხრით. იგი მუშაობდა ქალაქ თბილისში ერთ-ერთი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარ მექანიკოსად. ა. ჯანდიერი გაეცნო რა პლენუმის დადგენილებას, სურვილი გამოთქვა წავიდეს მეცხოველეობის სამანქანო სადგურში სამუშაოდ.

ამხ. ა. ჯანდიერის თხოვნა დაკმაყოფილებულია. იგი გაიგზავნა ბორჯომის მეცხოველეობის სამანქანო სადგურში სამუშაოდ.

## მრეწველობის მუშაკები—სოფელს

### ზეგეგმითი ფოლადი

რუსთავი. (საკ. კორ.). დილით ადრე მარტენის საამქროს წითელ კუთხეში შეკრებილი მეფოლადეები სმენად გადაქცეულნი უსმენდნენ მეფოლადე ამირან ფანცულაიას, რომელიც აცნობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

— ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, — თქვა მან, როდესაც დადგენილების გაცნობას მორჩა, — ერთხელ კიდევ ცხადყოფს ჩვენი პარტიისა და მთავრობის უდიდეს მზრუნველობას საბჭოთა ხალხისათვის. პარტიის მიერ აღებული გეზი — მოკლე ხანში სწრაფი ტემპით განავითაროს სოფლის მეურნეობის ყველა დარგი — ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას პირველი მოთხოვნილების პროდუქტების სიუხვე და უზრუნველყოფილ იქნას ინდუსტრიისათვის ნედლეულის ჭარბად მიწოდება.

ჩვენი საამქროს მეფოლადეთა მიერ გეგმის გადამეტებით გამოდნობილი თვითეული ტონა ფოლადი იმის მაჩვენებელია, რომ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის უფრო მეტი რაოდენობით დამზადდეს კომბაინები, ტრაქტორები და იარაღ-მანქანები. პარტიის მოწოდების პასუხად ვალდებულებას ვკისრულობ მარტო სექტემბერში გეგმის გადამეტებით გამოვადნო 70 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ახალგაზრდა მეფოლადეებმა ვ. ჭაბაშვილმა, ა. ზარიძემ და სხვებმა.

იმავე დღეს მეფოლადეებმა სიტყვა საქმედ აქციეს — 9 ჩქაროსნული დნობა განახორციელეს.

### რთველისათვის თბილისიდან

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. აქ აკეთებენ და სერიულად უშვებენ მრავალ მექანიზმს და მოწყობილობას მევენახეობა-მეღვინეობისათვის, ჩაისა და თამბაქოს მრეწველობისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ქარხანაში.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა გააძლიეროს მუშაობა რთველისათვის მევენახეობის რაიონებში ყურძნის პირველადი გადამუშავების მანქანა-დანადგართა გასაგზავნად. ქარხანამ უკვე გაგზავნა 150 ცალი უწყვეტი მოქმედების წნეხი, 110 ცალი ათასლიტრიანი ჰიდროწნეხი, 167 ცალი ათასლიტრიანი მექანიკური წნეხი და სხვა დანადგარები.

ბოლო დღეებში დიდი წარმატებით მუშაობს წარჩინებული სტახანოველის შ. ომანიძის ზეინკალთა ბრიგადა ბოთლებისათვის ალუმინის საცობების საკეთებელი ავტომატის ათვისებაზე. ბრიგადამ იკისრა ამ ავტომატის პირველი საცდელი ეგზემპლარი გამოუშვას მეოთხე კვარტალში.

ახლახან დაამთავრეს ქარხანაში მოდერნიზებული უწყვეტი მოქმედების წნეხის გამოშვება ყურძნის პირველადი დამუშავებისათვის. ეს წნეხი საწარმოო ვითარებაში გამოსაცდელად გაგზავნილია ბოლნისის ღვინის ქარხანაში. ქარხანაში მომუშავე ნოვატორმა სტახანოველმა ვ. ბაღდასაროვმა შექმნა სპეციალური ტუმბო მაჭრის გადასატუმბავად ჰორიზონტალური მიმართულებით. ასეთი მოწყობილობის საჭიროება დიდია ყურძნის პირველადი გადამუშავებისას. მასზე ღვინის ქარხნებში დიდი მოთხოვნილებაა. ბაღდასაროვის კონსტრუქციის დანადგარი გამოსაცდელად გაგზავნილია საქართველოს შამპანური ღვინოების კომბინატის ზესტაფონის ღვინის ქარხანაში.

## საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია და მებოსტნეობა

1952 წლის შემოდგომა იყო... ქუთაისის რაიონის მესხეთის კოლმეურნეობა „25 ოქტომბერში“ მოსავალს ანაწილებდნენ. კოლმეურნეებს შრომადღეზე მხოლოდ ერთი მანეთი და მცირეოდენი მარცვლეული ერგოთ. ამ მდგომარეობამ ყველა სერიოზულად ჩააფიქრა, განსაკუთრებით კი პარტბიუროს მდივანი ვლადიმერ კუჭუხიძე.

— არა, ამხანაგებო, ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ. რასაც დათესს, იმას მომკის, — სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. საჭიროა ახლავე მოვუღოთ ბოლო ამ ჩამორჩენას, მოვამზადოთ მტკიცე ნიადაგი 1953 წლის უხვი მოსავლისათვის.

— სრული სინამდვილეა, ამხანაგო ვლადიმერ, თქვა ბრიგადირმა ე. შალამბერიძემ, — ცუდად ვიმუშავეთ და მოსავალიც მცირე მივიღეთ. საქმეს ახლა მხოლოდ მუყაითი მუშაობა გამოასწორებს...

იმ დღეს კოლმეურნეობაში არც კრება, არც თათბირი არ ყოფილა მოწვეული, მაგრამ საუბარი მაინც საქმიანად წარიმართა. შეიმუშავეს ღონისძიება თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა ნიადაგის დამუშავების პირველი დღეებიდანვე.

გაჩაღდა ბრძოლა პამიდორის, კიტრის, კომბოსტოს, სტაფილოს და სხვა ბოსტნეულის ბარაქიანი მოსავლისათვის.

მესხეთელებმა საგულდაგულოდ დაამუშავეს საბოსტნე ნიადაგი, გვიან შემოდგომაზე დახნეს და ადრე გაზაფხულზე დაფარცხეს, თესვის დაწყებამდე კიდევ ერთხელ გადახნეს და დაფარცხეს. თესვაც მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარდა. პამიდორი დაითესა 34 ჰექტარზე, კიტრი — 18 ჰექტარზე, კომბოსტო — 7 ჰექტარზე, ჭარხალი — 4 ჰექტარზე, სტაფილო — 2 ჰექტარზე და ა. შ.

პარტბიუროს მდივანმა და ბიუროს წევრებმა მუშაობის ცენტრი მინდვრად გადაიტანეს. სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერება, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება, სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის გაუმჯობესება პარტორგანიზაციის მთავარი საზრუნავი გახდა.

— კარგად დათესილს კარგად დამუშავებაც უნდა, — ხშირად იტყოდა ხოლმე ვლადიმერი ბრიგადირებს ბოსტანში გავლისას და თავისი თვალით ნახულობდა ნაკვეთებს.

— ამხანაგო ვლადიმერ, — მიმართა მას ერთ დღეს ბრიგადირმა არჩილ შალამბერიძემ. — მდინარე რიონს, რომელიც ჩვენს ფართობებს ჩამოუვლის, ბევრი შლამი მიაქვს. კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ მას ბოსტნის ნაკვეთის გასანოყიერებლად.

— კარგი აზრია, — დაეთანხმა მდივანი და იმ საღამოსვე გამგეობის წინაშე დააყენა ეს საკითხი.

მეორე დღეს რიონის სანაპიროზე შლამის დასაგროვებლად დაიწყეს ჯებირის გაკეთება. იგი სწრაფადაც დაამთავრეს.

კრებებზე პარტიული მუშაობის საკითხებთან ერთად პარტიული ორგანიზაცია თანმიმდევრულად განიხილავს მებოსტნეობის განვითარების საკითხებს, იბრძვის გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისათვის. მიმდინარე წლის 15 ივნისს პარტორგანიზაციის კრებაზე აღინიშნა, რომ ბოსტნეულის დამუშავების საქმეში ჩამორჩებიან მეორე, მესამე, მეხუთე, მეშვიდე ბრიგადები. კრებაზე კომუნისტებმა სწორი ანალიზი გაუკეთეს ჩამორჩენის მიზეზს, რაც უმთავრესად შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობით და პარტიულ-მასობრივი მუშაობის ჩამორჩენით იყო გამოწვეული. კრებამ მიიღო დადგენილება, სადაც მთავარი ყურადღება პარტიულ პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას ჰქონდა მიქცეული.

ამ დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლას პარტორგანიზაცია აქტიურად ჩაუდგა სათავეში და სამი კვირის შემდეგ ბრიგადებში მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა. როგორც პარტიული კრების, ისე ბიუროს სხდომების დადგენილებათა განხორციელებას და მათი შემოწმების საქმეს აქ უშუალოდ პარტიული ბიუროს მდივანი ხელმძღვანელობს.

...ეს იყო ამ ერთი თვის წინათ, აგვისტოს პირველ ნახევარში. სოფლის ვეტექიმი აგიტატორი მერი ფრუიძე, ყველა სხვა აგიტატორები პარტბიუროში გამოიძახეს და სპეციალური მეცადინეობა მოუწყეს იმის შესახებ, თუ როგორ გაეცნოთ კოლმეურნეებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის მასალები და ამხანაგ მალენკოვის სიტყვა, რომელშიაც განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული მებოსტნეობის განვითარებას.

საღამოს ყველა ბრიგადაში ჩატარდა საუბრები. კოლმეურნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირების შესახებ. აგიტატორები შ. შალამბერიძე, გ. ბასილაძე კოლმეურნეებს ესაუბრნენ მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივებზე.

სოფლის კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ მასების საწარმოო აქტივობას და მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენეს. კომუნისტმა ა. კუჭუხიძემ დასამუშავებლად მიჩენილი 2 ჰექტარი ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე ვალდებულებით ნაკისრი 115 ცენტნერის ნაცვლად 135 ცენტნერი პამიდორი მიიღო. უხვი მოსავლის ოსტატია აგრეთვე კომუნისტი სევერიან შალამბერიძე. წარჩინებული მებოსტნე წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის სასათბურე მეურნეობას, საიდანაც მთელ რაიონში ყველაზე ადრე გამოჰყავთ ბოსტნეული. კოლმეურნეობაში მომუშავე ყველა 52 კომუნისტი შრომის ავანგარდში დგას.

24 აგვისტოს პარტიული ორგანიზაციის კრებამ იმსჯელა მოსავლის აღების შესახებ. კრებამ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. აღინიშნა მოსავლის აღების ხელშემშლელი მიზეზები: შეუკეთებელი იყო ფართობებში მისასვლელი გზები, აკლდათ საჭირო ინვენტარი, წესრიგზე მოყვანას საჭიროებდა სატრანსპორტო საშუალებანი და ა. შ.

ღონისძიებანი, რომლებიც აღნიშნულ საკითხზე მიიღეს, მალე განხორციელდა. მოსავლის აღებას მესხეთელები მომზადებული შეხვდნენ. უკვე აღებულია 218 ტონაზე მეტი ბოსტნეული.

როგორც მებოსტნეობის წამყვანი კოლმეურნეობა „25 ოქტომბერი“ თესლით ამარაგებს ქუთაისის და მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებს. თესლის დამზადების დავალებაც წარმატებით შესრულდა. 2.700 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 3.000 კილოგრამი სხვადასხვა ბოსტნეულის თესლი.

ამ დღეებში კოლმეურნეობაში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. კოლმეურნეები აღფრთოვანებით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას, პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, რომლებშიც დასახულია ჩვენი მძლავრი სოციალისტური ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. კოლმეურნეები ერთსულოვნად იწონებენ ამ ძვირფას დოკუმენტებს და მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი თავიანთ სიყვარულსა და ერთგულებას თავდადებული შრომით გამოხატავენ.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მეცნიერები ეხმარებიან საკოლმეურნეო წარმოებას

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი საკოლმეურნეო წარმოებისადმი დახმარების გაძლიერებით უპასუხებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას.

— მთის ზონის მიწათმოქმედების პირობები და ტექნიკური კულტურების დიდი ხვედრითი წონა რესპუბლიკაში ჩვენგან მოითხოვს, — განაცხადა მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანმა დ. ციციშვილმა, — შევქმნათ ყანებისა და პლანტაციების დასამუშავებელი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. დღეს ჩვენ სერიული გამოშვებისათვის გადავცემთ ორ მწკრივად სათეს უნივერსალურ მანქანას ტექნიკური კულტურების ნათესებში მინერალური სასუქის შესატანად, ერთცხენიან უნივერსალურ კულტივატორს ვენახისა და ბოსტნეულის მწკრივთა შორის დასამუშავებლად. კონსტრუირებულია და მალე გადაეცემა წარმოებაში მთის გუთანი, მოდერნიზებული სალეწი მანქანა ლომის საცეხვით და ბალახების თესლის საფშვნელი სამარჯვით. ინსტიტუტის მუშაკები ლაგოდეხისა და წითელწყაროს მტს-ების მექანიზატორებთან თანამშრომლობით ახორციელებენ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მთელი წლის განმავლობაში შეკეთების ცდას.

— მთავარ ყურადღებას, — ხაზგასმით აღნიშნავს პროფესორი დ. აგლაძე, — ჩვენ ვაქცევთ პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას და მისთვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამ მიზნით ჩვენ ფართოდ გავავრცელებთ იმ მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილებას, რომლებმაც წარმატებით დანერგეს მწვანე კონვეიერი, აგრეთვე, რომლებიც ბალახის მეორე მოსავალს იღებენ.

# წერილები რედაქციას

## კურორტი ყურადღების გარეშე

კურორტი უწერა განთქმულია თავისი ჰავით და ძვირფასი სამკურნალო წყაროებით. ეს ფაქტორები ერთმანეთთან კარგად არის შეხამებული და განსაზღვრავს კურორტის ღირსებას.

უწერას გარს აკრავს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, რომლებს იქითაც მოჩანს მუდმივი თოვლით დაფარული მაღალი მთის მწვერვალები. ჰავა ხასიათდება განსაკუთრებული დადებითი მაჩვენებლებით — ოზონირებული ჰაერით, უხვი ინსოლაციით, ღრუბლიანი და წვიმიანი დღეების სიმცირით, ჰაერის ზომიერი მოძრაობით და ნორმალური ტემპერატურით ზაფხულის თვეებში.

მთის ჰავა თავისთავად მაღალხარისხოვანი [illegible]

[illegible]

„გვერითა" და სხვა წყაროები კარგად მოქმედებენ კუჭ-ნაწლავების, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის დაავადებაზე.

მინერალური წყლების მეორე ჯგუფის მთავარი წარმომადგენელია №2 წყარო, რომელიც იხმარება უმთავრესად აბაზანების სახით და კარგად მოქმედებს სახსრების ანთებადი პროცესების, ნერვული სისტემის დაავადების დროს და სხვ.

მიუხედავად დიდი სამკურნალო მნიშვნელობისა, უწერა მოკლებულია როგორც კურორტთა მთავარი სამმართველოს, ისე რაიონული ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღებას.

ძალიან მცირეა კურორტის საბინაო [illegible]

[illegible]

თა წარმოშობის საფრთხეს. სავალალო მდგომარეობაშია სააბაზანო მეურნეობა. ერთადერთი აბანო სამი აბაზანით ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მოუწესრიგებელია აბაზანებით სარგებლობის ღირებულებაც.

მოუგვარებელია დამსვენებელთა კვება. კურორტზე ერთადერთი „სასაუზმეა", სადაც პაპიროსისა და ღვინოარყის მეტი არაფერი იშოვნება. არ არის საპარიკმახერო, რადიოგაყვანილობა, არ მოდის ჟურნალ-გაზეთები. კულტურულ მომსახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს და ონის რაიონის ხელმძღვანელობას კარგად ესმით უწერის [illegible]

[illegible]

## რატომ არ ყოფნის წყალი ქ. რუსთავს

[illegible]

ქ. რუსთავის მცხოვრებნი:
ბ. ზურაბიძე,
ე. სტეპანიანი,
ფ. არტოიანი.

## „კომუნისტის" სიგნალის შედეგი

[illegible]

მეზენ გამგეობის მუშაობას, — გვწერდა სოფლკორი ამხ. ი. გორგაძე. წერილი ზომების მისაღებად [illegible] განიხილა სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ს. ჩიხლაძეს საყვედური გამოეცხადა.

# მოსკოვი

[illegible]

ხ. რიჟინაშვილი.
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიაზე ა. ი. ვიშინსკიმ 1953 წლის 18 სექტემბერს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი პუნქტი: „გენერალური მდივნის მემორანდუმი გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 აგვისტოს მიღებული „C" რეზოლუციის განხორციელების შესახებ".

წესების პროცედურის მე-20 წესის შესაბამისად გიგზავნით ახსნა-განმარტებითს ბარათს ამ საკითხზე.

დიდი მადლობელი ვიქნები, თუ მისცემთ მითითებას თანდართული ახსნა-განმარტებითი ბარათი დაიგზავნოს როგორც გენერალური ასამბლეის დოკუმენტი".

წერილს დართული აქვს შემდეგი ახსნა-განმარტებითი ბარათი:

„გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 აგვისტოს „C" რეზოლუციამ გენერალურ მდივანს დაავალა აცნობოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გენერალური ასამბლეის მე-7 სესიის მიერ მიღებული წინადადებანი კორეის საკითხზე, აგრეთვე ანგარიშები კამათის შესახებ, რომელიც გენერალურ ასამბლეაში მიმდინარეობდა, და წარმოადგინოს შესაბამისი მოხსენება.

ამჟამად გენერალურმა მდივანმა გენერალური ასამბლეის მე-8 სესიაზე დელეგაციებს დაუგზავნა მემორანდუმი 1953 წლის 28 აგვისტოს „C" რეზოლუციის განხორციელების შესახებ.

დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს რა აღნიშნულ მემორანდუმს, ისევე როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საპასუხო ცნობებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაცია გთხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის დღის წესრიგში შეიტანოთ შემდეგი პუნქტი: „გენერალური მდივნის მემორანდუმი გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 აგვისტოს მიღებული „C" რეზოლუციის განხორციელების შესახებ".

# „ხალხთა მისწრაფებაა უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა ევროპაში!"

## წინააღმდეგობის მებრძოლთა, ფაშიზმის მსხვერპლთა და პატიმართა საერთაშორისო ფედერაციის მოწოდება

ბერლინი, 19 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს ცნობით, წინააღმდეგობის მებრძოლთა, ფაშიზმის მსხვერპლთა და პატიმართა საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს სხდომაზე, რომელიც ბერლინში გაიმართა, მიღებულ იქნა მოწოდება ფაშიზმისადმი წინააღმდეგობის ყველა მებრძოლისადმი, ევროპის ყველა ქვეყნის პატრიოტებისადმი. ფედერაციის ბიურო მოუწოდებს გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის საფრთხის წინააღმდეგ, რასაც ადენაუერის სამხედრო გეგმები წარმოადგენენ.

„იმის დაშვება, რომ დასავლეთ გერმანიაში, სადაც გაბატონებული არიან რევანშისტი პოლიტიკოსები და მილიტარისტები, აღდგენილ იქნას „ვერმახტი" „ევროპის არმიის" ნიღბით ან უმისოდ, — ნათქვამია მოწოდებაში, — იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელი გახდეს დიდ სახელმწიფოთა შეთანხმება გერმანიის საკითხზე; ნიშნავს ევროპაში ომის საშიში კერის შექმნას. ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ საფრთხეში ჩავარდეს გერმანიის მეზობლების უშიშროება და თვით გერმანელი ხალხის არსებობა, დაშვებულ იქნას ახალი ოსვენციმის და ბუხენვალდის, ახალი ორადურისა და ლიდიცეს შექმნა".

ფედერაციის ბიურო მიმართავს ევროპის ყველა ქვეყნის პატრიოტებს მოწოდებით ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციასა და განხორციელებას.

# საბჭოთა სასპორტო დელეგაცია ჩინეთში

პეკინი, 20 სექტემბერი. (საკდესი). პეკინში სრულიად ჩინეთის სასპორტო ფედერაციის მოწვევით სტუმრად არის საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა დელეგაცია.

გუშინ პეკინში გაიმართა საბჭოთა სპორტსმენების პირველი გამოსვლა. დარბაზში შეკრებილი დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი გულთბილად შეხვდა საბჭოთა სპორტის გამოჩენილ ოსტატებს — ჩუკარინს, მურატოვს, ბოჩაროვას, ურბანოვიჩსა და სხვებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენებისა და მთელი ჩინელი ხალხის სახელით სასპორტო დელეგაციას მიესალმა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად ჩინეთის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ცაი ტინ-კაი.

საბჭოთა სპორტსმენების საჩვენებელმა გამოსვლამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

# დროების სუნთქვა

წერილი რუმინეთიდან

## მეტალურგიის გიგანტის დაბადება

ელექტრობით გაშუქებულ ბეტონის გვირაბში ისე ცივა, როგორც მაცივარში.

— ჩვენ ვიმყოფებით კაშხალის ფუძეში, ჩვენს ზემოთ მილიონობით კუბური მეტრი წყალია, — გვიხსნის ახალგაზრდა ინჟინერი. — ეს ტბა ეს არის ახლა შეიქმნა, წყალმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გათბობა, და არა მგონია, რომ როდისმე ფსკერამდე გათბეს.

ხოლო ზევით ულმობლად აცხუნებს მზე, ქარი ტბაში აყენებს მაღალ ტალღებს და ისინი ხმაურით ეხეთქებიან კაშხალის რუხ გრანიტს. კაშხალის მეორე მხარეზე მოჩანს ხეობის ფსკერი, როგორიც იგი საუკუნეთა განმავლობაში იყო...

რამდენი ასეთი წყალსაცავი შენდება ახლა თავისუფალი რუმინეთის მიწაზე! ზოგი მათგანი მორწყავს და გააცოცხლებს მზით გადამწვარ ველებს, სხვები აამუშავებენ ახალი ჰიდროელექტროსადგურების მძლავრ ტურბინებს, ზოგი კი სასმელ წყალს მიაწვდის რუმინეთის ძველ და ახლად ჩასახულ სამრეწველო ცენტრებს.

ახალი ერთბაშად როდი იბადება. ლაჟვარდ ცაში მკაფიოდ ისახება ლითონის კარკასი — ფოლადის კონსტრუქციების რთული ხლართი. ხოლო გვერდით, სულ ახლოს, პურის ყანაა. ვინ იფიქრებდა, რომ ამ ყანის მყუდროებას მალე შეცვლიდა გიგანტური მეტალურგიული საწარმოს გუგუნი! ეს კი ასე იქნება. შემოდგომაზე ამ ყანაში უკანასკნელად აიღებენ მოსავალს. აქ დაიწყება მეტალურგიული კომბინატის საამქროების მშენებლობა. ეს კომბინატი თავისი სიმძლავრით რამდენჯერმე გადააჭარბებს ძველი რუმინეთის თუჯსადნობ და ფოლადსადნობ ქარხნების სიმძლავრეს. წლიწადში რამდენიმე ასეული ათასი ტონა მილები წარმოების მილსაგლინავი დანადგარის ამოქმედებით რუმინეთი მილების გამოშვების მხრივ მეორე ადგილზე გავა ჩეხოსლოვაკიის შემდეგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის. რუმინეთის მეტალურგიის გიგანტი შენდება საბჭოთა სპეციალისტების პროექტებით, იგი აღიჭურვება უახლესი საბჭოთა ტექნიკით.

მუშაობა ეს არის დაიწყო, ხოლო მშენებლობის სუნთქვამ საუკუნობრივი ძილისაგან უკვე გამოაღვიძა მეზობელი პატარა ქალაქი. იგი რეკონსტრუირებულ იქნება. იქ გაჩნდება ახალი ქუჩები, თეატრები, კლუბები, სასწავლებლები, ქალაქი, როგორც ზღაპარშია ნათქვამი, ჩამოიბერტყავს საუკუნეთა მტვერს და თითქოს კვლავ დაიბადება ნათელი, გონივრული ცხოვრებისათვის, მშვიდობიანი შრომისა და ბედნიერებისათვის.

## ახალგაზრდობის ქალაქში

ტრანსილვანიის ალპების მწვერვალები თოვლს დაუფარავს. მთების ციცაბო ფერდობებზე ხარობს ლურჯად აქოჩრილი ხშირი ტყე. ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ კლდეების მწვერვალებზე მოჩანს დროთა ვითარებით დანგრეული შუა საუკუნეების ციხე-დარბაზების რუხ-ყვითელი ქონგურები. შორიდან ისინი დამპალ ეშვებს გვანან. თითქოს ძველი სამყარო უმწეოდ უღრენს ახალსო. ერთ-ერთი ასეთი ციხე-დარბაზი კარგად შემონახულა ხუნედოარში. ოდესღაც იგი გაბატონებული იყო მთელ ამ ადგილზე. მაგრამ დროება შეიცვალა. ახლა თითქმის ზედ ციხე-დარბაზთან აღმართულა საკომურების ტყე, საამქროთა კორპუსები, გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის შავი მეტალურგიის უდიდესი კომბინატის ბრძმედები. მაღლა ცაში საბაგირო გზით მიცურავენ მადნით დატვირთული ვაგონეტები. გაისმის წყვეტილი საყვირის ხმა, რკინის ჯახუნი, ორთქლის შიშინი.

ძველი რუმინეთის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის მოსყიდულმა მოხელეებმა ხუნედოარის მეტალურგიული ქარხნები ნგრევის პირას მიიყვანეს. ეს ხელსაყრელი იყო უცხოელი მონოპოლისტებისათვის, რომლებიც ამტკიცებდნენ, რუმინელ ხალხს არ შეუძლია თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის თანამედროვე წარმოება მოაწყოსო.

მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაციის შემდეგ რუმინელი მშრომელები მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ მძიმე მრეწველობის — რესპუბლიკის მთელი ეკონომიკის განვითარების ბაზის აღდგენასა და რეკონსტრუქციას. პირველ რიგში აღადგინდნენ ხუნედოარის — რუმინეთის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეტალურგიული ცენტრის ქარხნებს.

1949 წელს ამოქმედდა ბრძმედი, რომელსაც 1917 წლიდან არ უმუშავნია. უკვე 1950 წელს ხუნედოარის საწარმოებმა ერთიოთხად გადააჭარბეს საერთო პროდუქციის გამოშვების ყველაზე მაღალ ომამდელ დონეს. მას შემდეგ ახალი ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების გაფართოება და მშენებლობა უფრო ფართოდ გაჩაღდა. პირველი ხუთწლედის ბოლოს კომბინატი რამდენჯერმე გაადიდებს ლითონის გამოშვებას.

ახალ რუმინეთში ხუნედოარას სამართლიანად უწოდებენ ახალგაზრდობის ქალაქს — იმისთვისაც, რომ მას აშენებენ ჭაბუკები და ქალიშვილები, და იმისთვისაც, რომ იგი წლითიწლობით ახალგაზრდავდება. აქ უკვე აშენებულია ბევრი საცხოვრებელი სახლი, აგებულია ახალი წყალსადენი, პურის ქარხანა, საზაფხულო თეატრი, სტადიონი, მაღაზიები, რესტორანები, საბავშვო ბაღი და ბაგები. სამრეწველო და საბინაო მშენებლობაში ფართოდ იყენებენ საბჭოთა ტექნიკასა და გამოცდილებას.

კიდევ უფრო განსაცვიფრებლად იზრდებიან ადამიანები. სამი წლის წინათ ხუნედოარაში არავის არაფერი არ გაეგონა ვასილე კოსტაკეზე — მოლდოვიდან ჩასულ მაღალ ჭაბუკზე. იგი შეამჩნია მეფოლადე სიმირია გეორგემ. მან მოთმინებით ასწავლა ჭაბუკს, ხოლო შემდეგ ურჩია პროფესიულ სკოლაში შესულიყო.

ახლა ვასილე კოსტაკე თავისი ქვეყნის წარჩინებული ადამიანია. აითვისა რა ფოლადის ჩქაროსნული დნობის საბჭოთა მეთოდი და გაადიდა მარტენის ღუმელის ტევადობა, მან 9 საათსა და 50 წუთში გამოუშვა ნადნობი, ამასთან ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბა დაწესებულ ნორმას. ეს ზღვარი როდი იყო. ახალგაზრდა მეფოლადემ მალე 5 საათსა და 30 წუთში გამოუშვა სხვა მძიმე წონის ნადნობი და 20 ტონა ლითონი მისცა თავის ქვეყანას გეგმის გადამეტებით. ამას წინათ ვასილე კოსტაკემ იკისრა რესპუბლიკაში მარტენის ღუმელის თვითეულ კვადრატულ მეტრ ქვედზე მეტი ფოლადის აღებისათვის შრომითი შეჯიბრების ინიციატივა.

ასევე საგულისხმოა მდინარე პრუტიდან ჩასული ახალგაზრდა მეთევზის შტეფან კაზანის ბედი. იგი ახლა ხუნედოარის საუკეთესო მებრძმედეა. იგი აქ მოვიდა მძიმე მოუსავლიან წლებში. ეს რომ ძველ დროს მომხდარიყო, შტეფანი ალბათ შიმშილით მოკვდებოდა უცხო ქალაქში. ახალი, სახალხო ხელისუფლება და მუშათა პარტია დაეხმარნენ ყოფილ მეთევზეს საწარმოო სპეციალობა შეეძინა, მას და სხვა ახალგაზრდებს მიანდეს რუმინეთის ახალი, ყველაზე მძლავრი და სრულყოფილი ბრძმედის ათვისება. ახალგაზრდა ინჟინერმა მირჩა ალექსანდრუმ გააცნო მას საბჭოთა მებრძმედეების მიღწევები, დაეხმარა მიეღწია რუმინეთში ბრძმედის გამოყენების საუკეთესო კოეფიციენტისათვის.

— მახსოვს, ჩვენი თუჯი გავგზავნეთ რეშიცაში, — იგონებს შტეფანი. — იქ თუჯი შეამოწმეს ლაბორატორიაში, ხოლო შემდეგ მოგვწერეს: ნუ გვაბრიყვებთ ეს ხომ საბჭოთა თუჯიაო. ეს ჩვენთვის უდიდესი ქება იყო.

## მეორე ახალგაზრდობა

რუმინეთის ბურჟუაზიის წარმოდგენით ყოფილი „რუმინული რკინისა და ფოლადის მეფის" აუშნიტის საწარმოები ტექნიკური აზრის უკანასკნელ სიახლეს წარმოადგენდნენ. ამ საკითხზე სხვა აზრი შეექმნა მეფოლადე ოსტატ სტუპნი მატეის, რომელსაც კარგად ახსოვს აუშნიტი.

იგონებს რა თავისი მეტად ძნელი ცხოვრების ამბებს, მატეიმ გაიხსენა უმუშევრობის წელიწადი, რომელიც მან ძველ რუმინეთში გამოიარა. ხშირი წარბები შეეკრა, თვალები აემღვრა და დაბლა დახარა თავი.

— ვშიმშილობდი, ვმათხოვრობდი, ყველაფერი მინახავს... მაშინ ავადმყოფებს სამუშაოდან ერეკებოდნენ.

ეს ბეჩავი და უუფლებო ცხოვრება არასოდეს აღარ დაბრუნდება. შარშან მატეი ისვენებდა შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო კურორტზე, წელს კი ცოლთან და ქალიშვილთან ერთად წავა ზღვისპირას. და განა მარტო ის? შარშან ზაფხულს 2.350 მუშამ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაატარა შვებულება. ამდენივე დაისვენებს იქ წელსაც.

ამას წინათ მატეი საბჭოთა კავშირში იყო. ბევრი რამ ნახა და გაიგო ძველმა ოსტატმა თვენახევარში. ამ მოგზაურობაზე მან ძუნწად ილაპარაკა, მაგრამ ისეთი გამომეტყველებით და გაბრწყინებული თვალებით, რომ ბევრი რამ უსიტყვოდაც გასაგები იყო:

— მივდიოდი და ვფიქრობდი, აბა რით გამაკვირვებენ, ჩვენ ხომ ახლა რუმინეთში პირველები ვართ-მეთქი, ხოლო მაკეევკისა და დნეპროძერჟინსკის გიგანტური ბრძმედები და მარტენები რომ დავინახე, თითქოს თვალები ამეხილა. აუშნიტის ქარხნები ვიწროც მეჩვენა და პატარებიც, მახინჯი ტექნოლოგიით, რომლებიც აგებული იყო შემდეგი პრინციპის მიხედვით: რას ინებებთ? თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ორთქლმავლები, კომპრესორები, მოტორები — ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო მცირე საჭიროებისათვის, მცირე მასშტაბით. საამქროები ერთ ცვლად მუშაობდნენ. ახლა სოციალიზმს ვაშენებთ. მარტო ხუნედოარას და ახალ კომბინატს რამდენი რამ ესაჭიროება! აი სსრ კავშირისა და საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით მოვახდენთ გარდაქმნას. საამქროები მუშაობენ გრაფიკით რამდენიმე ცვლად. მე შევუდექი ფოლადის ჩქაროსნული დნობის ათვისებას და ნადნობთა რიცხვი თვეში 80-მდე ავიყვანე.

დროების სუნთქვა — რეკონსტრუქცია მოედო რეშიცის მეტალურგიულ საწარმოებსაც, რომლებიც თავიანთ მეორე ახალგაზრდობას განიცდიან. რუმინეთში პირველად აქ აშენდა საკოქსე ბატარია, ადგილობრივი ნედლეულით მოეწყო წარმოება ცეცხლგამძლე აგურისა, რომელსაც წინათ დასავლეთის მონოპოლისტებისაგან იძენდნენ. აგებულია ლითონკონსტრუქციათა ქარხანა, კვადრატული შტანგების დასამუშავებელი საამქრო, აშენდა ბევრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. საბჭოთა გამოცდილების საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა ბრძმედების რეკონსტრუქციისა და ახალი მარტენების მშენებლობისათვის.

ახლა რეშიცა კადრების სამჭედლო გახდა. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მისი მნიშვნელობა სახალხო რუმინეთის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. მეტალურგიულ კომბინატში აღზრდილნი ახლა მუშაობენ მინისტრებად, საწარმოთა დირექტორებად, ახალი ბრძმედების, თბოცენტრალებისა და ქარხნების მშენებლებად. რეშიცაში სწავლობენ ადამიანები, რომლებიც შემდეგ აამუშავებენ ხუნედოარის კოქსქიმიურ ქარხანას.

— სახე იცვალა რეშიცამ, იცვლებიან ადამიანები, — ამბობს ახალგაზრდა ინჟინერი ტარცა ტროიანი. — ამას ვხედავ და განსაკუთრებით განვიცდი ჩემს თავზე. წინათ მწვავედ განვიცდიდი გამოცდილების ნაკლებობას. იქმნებოდა ურწმენობა მუშაობაში, რაც ხელქვეითებს გადაეცემოდა და დამღუპველ გავლენას ახდენდა საქმეზე. სულ სხვაგვარად ვმუშაობ ლენინგრადში ყოფნის შემდეგ. ლენინგრადის საწარმოებში ჩემთვის ყველაფერზე სასარგებლო იყო იმის სწავლა, თუ როგორ ავიცდინო შეცდომა. ჩვენ მოგვიყვანეს ისეთი საგულისხმო მაგალითები, როგორსაც ვერ იპოვნი ვერც ერთ სახელმძღვანელოსა და ცნობარში. ღრმა ცოდნის გარდა, სსრ კავშირიდან ჩამოვიტანე გამბედაობაც, მტკიცე რწმენა მუშაობაში.

...დაბინდდა. ბოლავს ქარხნის მილები. მტრედისფერი გრძელი ალი ლაპლაპებს საამქროთა სახურავებზე. შორს გაისმის ორთქლმავალთა საყვირის ხმა, ორთქლის უროების ცემა — კომბინატის განუმეორებელი, საუცხოო შრომითი მუსიკა. ზევით კი, რეშიცის თავზე, მთებში შრიალებენ ფიჭვები, არყისხის ფოთლები. შორიდან ქარმა მოიტანა ქალიშვილის ხალისიანი სიცილი და სიმღერა დიდ სიყვარულსა და დიდ ოცნებაზე, რომელიც ამჯერად ახდება.

ვ. მელნიკოვი

ხუნედოარა-რეშიცა.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლის ბურჯია

### ვილჰელმ პიკის სიტყვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პლენუმზე

ბერლინი, 20 სექტემბერი. (საკდესი). [illegible]

... ნაღგურების მომენტიდან. ეს წინაპირობები შეიქმნა აგრეთვე იმ დიდსულოვანი დახმარებისა და მუდმივი მხარდაჭერის მეოხებით, რომლებსაც ვიღებთ საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკებისაგან. ჩვენი მო- ... და ამ შედეგებზე მთელი მშვიდობისმოყვარე მსოფლიოს ფართო გამოხმაურებამ.

დასასრულ ვილჰელმ პიკი შეეხო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობისათვის მზადებას.

## ეტლის გამოსვლა რადიოთი

ლონდონი, 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ რადიოთი გამოსვლისას ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ეტლიმ გაიხსენა ჩერჩილის 11 მაისის სიტყვა თემთა პალატაში და განაცხადა:

„რა სამწუხაროა, რომ მის მიერ გამოჩენილ ინიციატივას არ გამოეხმაურნენ. ნაცვლად ამისა ვაშინგტონში მოეწყო სოლსბერის, დალესისა და ბიდოს შეხვედრა. მე დიდი იმედი არა მქონია, რომ ეს შეხვედრა რაიმე სასარგებლო შედეგს გამოიღებდა, და ასეც მოხდა. მე მგონია, რომ ამის შემდეგ საერთოდ საერთაშორისო მდგომარეობა გაუარესდა".

ეტლი შეეხო შორეულ აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები „გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ" ინდოეთის შეყვანას კორეის საკითხთა პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობაში და ამით კონფერენციას მოაკლეს აზიის უდიდესი სახელმწიფოს წარმომადგენლობა. „მე მეტად სახიფათოდ მიმაჩნია, — თქვა ეტლიმ, — ამერიკის ეს ტენდენცია ებრძოლოს ყველას, ვინც მთლიანად არ უჭერს მხარს ამერიკის თვალსაზრისს. მე მგონია, რომ ეს საგარეო პოლიტიკის დარგში ასახავს შეუწყნარებლობის ზოგიერთ ტენდენციას, რომლებიც ბევრ ადამიანს აშფოთებს".

„გარდა ამისა, — განაგრძო ეტლიმ, — შეერთებული შტატები უფრო გაძლიერებით ეწინააღმდეგებიან ჩინეთის სახალხო მთავრობის მიერ უშიშროების საბჭოში ადგილის დაკავებას, რის უფლებაც ჩინეთს აქვს. ის ფაქტი, რომ ეს ადგილი წინანდებურად უკავია დისკრედიტებულ ჩანკაიშელთა ნაბოლარებს, დაბრკოლებაა მშვიდობის საქმის წარმატების გზაზე". ეტლიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩინეთის ფაქტიურმა მთავრობამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში". მან დასძინა, რომ „დიდი შეშფოთება გამოიწვიეს ლი სინ მანის აგრესიულმა სიტყვებმა, რომელიც მოუწოდებდა ჩრდილოეთ კორეის დაპყრობისაკენ. კორეის გაერთიანება მეტად სასურველია, მაგრამ ეგი არ შეიძლება ძალის დახმარებით განხორციელდეს".

კომენტარი გაუკეთა რა 16 ქვეყნის დეკლარაციას, რომელსაც ხელი მოაწერა აგრეთვე ინგლისის მთავრობამ, ეტლიმ განაცხადა: „მუქარის მუდმივი გამეორება საგარეო საქმეთა წარმოების გონივრული მეთოდი არ არის".

აღნიშნა რა თავისი მისწრაფება ითანამშრომლოს „მეგობრებთან ამერიკაში", ეტლიმ თქვა: „მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ჩამოვაყალიბოთ საკუთარი თვალსაზრისი. თუ ჩვენ მივაჩნია, რომ ჩვენი მეგობრები უგუნურ კურსს მისდევენ, მეგობრობა მოითხოვს, რომ ვთქვათ ეს".

## საბჭოთა და უნგრეთის სპორტსმენების შეჯიბრება ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 21 სექტემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა შეჯიბრება.

საუცხოო შედეგი მიიღწია საბჭოთა სპორტსმენმა ლიტუევმა, რომელმაც 400 მეტრი ბარიერებით გაირბინა 50,4 წამში. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია.

ბადროს ტყორცნაში პირველი ადგილი დაიკავა უნგრელმა კლაიჩმა, რომელმაც ბადრო სტყორცნა 53,35 მეტრზე (უნგრეთის რეკორდია 53,44 მეტრი). საბჭოთა სპორტსმენმა გრიგალკამ დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი — 53,17 მეტრი (წინანდელი რეკორდი ბადროს ტყორცნაში იყო 52,91 მეტრი).

200 მეტრზე რბენაში იგნატიევმა მანძილი გაირბინა 21,3 წამში.

800 მეტრზე რბენაში უნგრეთის ახალი რეკორდი დაამყარა უნგრელმა ქალმა კაზიმ, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა. მისი დრო 2 წუთი და 12,4 წამი. 5 ათას მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა უნგრელმა კოვაჩმა, რომელმაც დაამყარა უნგრეთის ახალი რეკორდი — 14 წუთი და 1,2 წამი.

საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ვაჟთათვის 3 ათას მეტრზე დაბრკოლებიან რბენაში. კაზანცევმა უჩვენა დრო 8 წუთი და 49,8 წამი, სალტიკოვმა — 8 წუთი და 52,8 წამი.

შუბის ტყორცნაში ქალთათვის პირველ ადგილზე გამოვიდა ჩუდინა — 51,59 მეტრი, მეორე ადგილი დაიკავა კონიაევამ — 49,85 მეტრი.

საბჭოთა სპორტსმენმა ვაჟებმა და ქალებმა მოიგეს 200 მეტრზე რბენა.

ქალთა ესტაფეტში 4×100 ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა საბჭოთა გუნდმა. მისი შედეგია 45,6 წამი.

ორი ქვეყნის სპორტსმენთა შეჯიბრების საბოლოო შედეგია 199:124 სსრ კავშირის სასარგებლოდ.



სურათზე: სსრ კავშირის 1953 წლის ჩემპიონი კალათბურთში — თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდი. [illegible]



სურათზე: სსრ კავშირის 1953 წლის ჩემპიონი კალათბურთში — მოსკოვის „დინამოს" ქალთა გუნდი. [illegible]

## სეზონის გახსნა

### გრიბოედოვის სახელობის თეატრში

თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრმა გახსნა სეზონი. 19 და 20 სექტემბერს დაიდგა სტალინური პრემიის ლაურეატის ს. მიხალკოვის სატირული კომედია „კიბოები".

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. თაყაიშვილმა, გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ი. შტენბერგმა.

მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ა. ზაგორსკი, ე. სატინა, მსახიობები პ. ლუსპეკაევი, მ. ქებაძე და სხვები. სპექტაკლს წარმატება ჰქონდა.

## კონსერვი, მურაბა, ჯემი

ქართული კონსერვი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი გამოირჩევა ასორტიმენტის სიუხვით, დამზადების საუკეთესო ხარისხით. ამ კონსერვის უმრავლესობა იყიდება შუშის ქილებით, რომლებსაც აქვს ლამაზი ეტიკეტი.

წელს საქართველოს საკონსერვო მრეწველობამ უკვე გამოუშვა რამდენიმე მილიონი ცალი ქილა ბოსტნეულის კონსერვი, ტომატი, კომპოტი, მურაბა, ჯემი, პავიდლო და სხვ. წლის ბოლომდე დამზადდება კიდევ 35 მილიონი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი.

მარტო ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში 8 თვეში გაგზავნილია 33 მილიონზე მეტი ქილა კონსერვი. სექტემბრის შუა რიცხვებამდე გაიგზავნა 80 ვაგონი, ხოლო წლის ბოლომდე კიდევ გაიგზავნება 600 ვაგონამდე.

საკონსერვო წარმოებამ ახლახან აითვისა სხვადასხვა ბოსტნეულის კონსერვი. გორისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნები წლის ბოლოსათვის დაამზადებენ 10 ათას ქილა პამიდორის, კიტრის, სტაფილოს, მწვანე ლობიოს და სხვა ბოსტნეულის კონსერვს.

## ფართოვდება პურის ასორტიმენტი

ყოველწლიურად ფართოვდება პურის საცხობ საწარმოთა ქსელი. ერთი თვეა რაც თბილისში ამუშავდა პურის ახალი დიდი ქარხანა. ეს მეხუთე მექანიზებული ქარხანაა, სადაც ცხობის ყველა პროცესი, ფქვილის მიღებიდან მზა პურის გამოცხობამდე, წარმოებს მექანიზებულად და ავტომატურად, ადამიანის ხელის დაუხმარებლად. გარდა ქარხნებისა, თბილისში არის 2 მექანიკური საცხობი და 23 წვრილი კუსტარული საწარმო.

ამჟამად „საქპურტრესტის" საწარმოებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს პურის ასორტიმენტი, წინა თვეებთან შედარებით ცხვება 15 ახალი სახელწოდების, სულ კი 60 სახელწოდების პური. თბილისის მაღაზიებში, გარდა ჩვეულებრივისა, დიდი რაოდენობით იყიდება ჩაის პური, სომხური თხელი ლავაში, აგრეთვე მაღალი ხარისხის ფუნთუშეული ნაწარმი.

## სსრ კავშირის ახალი ჩემპიონები კალათბურთში

### მოსკოვის „დინამოს" კალათბურთელ ქალთა და თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდების ბრწყინვალე გამარჯვება

საბჭოთა კავშირის XX საიუბილეო პირველობა შემთხვევით როდი მოეწყო თბილისში. კალათბურთი განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს ახალგაზრდობაში. ეს მრავალფეროვანი და ტემპერამენტიანი თამაში დიდ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. ამიტომ ჩემპიონატში მონაწილეობა ძალუძთ მხოლოდ ფიზიკურად კარგად მომზადებულ სპორტსმენებს. ქართველი კალათბურთელებიდან გაიზარდნენ სპორტის ამ სახეობის ოსტატები, რომლებიც შედიან საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. ეს გუნდები წარმატებით მონაწილეობენ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი ევროპის სამგზის ჩემპიონია, ხოლო ქალთა გუნდმა ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება.

განვლილ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შემადგენლობაში იყვნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კალათბურთელები: ო. ქორქია, ს. ბუტაუტასი, ა. კონევი, კ. პეტკიავიჩუსი, ლ. ალექსეევა, ე. ზარკოვსკაია, ნ. მაქსიმოვა, ნ. მაქსიმილიანოვა და სხვ. პირველობის გათამაშებაში მონაწილეობდა ვაჟთა 24 და ქალთა 23 გუნდი — მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 1953 წლის პირველობის გათამაშებაში გამარჯვებულები.

კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის „დინამოს" გუნდი — სსრ კავშირის 1950 წლის ჩემპიონი. მოთამაშეთა კარგ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად გუნდმა გვიჩვენა თამაშის შესანიშნავი ტექნიკა და ტაქტიკა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კალათბურთის განვითარებისათვის.

გუნდის მწვრთნელი გ. ავალიშვილი ითვალისწინებდა მოწინააღმდეგეთა ყველა შესაძლებლობას, თვითეული მოთამაშის პირად თვისებებს. ამ შეხვედრებში თავი გამოიჩინეს ო. ქორქიამ, ნ. ჯორჯიკიამ, გ. აბაშიძემ, ვ. ქღენტმა, ა. კილაძემ, ლ. ინწკირველმა.

მეორე ადგილზე გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი — ცდსა-ს გუნდი, მესამეზე — 1953 წლის თასის გათამაშებაში გამარჯვებული კაუნასის „ჟალგირისი".

შემდგომი ადგილები დაიკავეს რიგის ოფიცერთა სახლის, მოსკოვის „დინამოს", მოსკოვის „სპარტაკის", ტალინის „კალევის", ლენინგრადის „ნაუკის", კიევის ოფიცერთა სახლის და სხვა გუნდებმა.

შუა აზიის რესპუბლიკების გუნდებს შორის საუკეთესო იყო ქ. ალმა-ატის „ისკრის" ვაჟთა გუნდი, რომელმაც მეცამეტე ადგილი დაიკავა. გუნდის წარმატება მნიშვნელოვანწილად მიეწერება ახალგაზრდა გიგანტს ვ. ახტაევს, რომელმაც პირველობის გათამაშებაში ყველაზე მეტი ქულა შეაგროვა (643 ქულა გუნდის მიერ ყველა თამაშში შეგროვებული 1.104 ქულიდან).

ქალთა გუნდებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის რვაგზის ჩემპიონი — მოსკოვის „დინამოს" კალათბურთელთა კოლექტივი. ამ გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ე. ზარკოვსკაია, ნ. მაქსიმოვა, ნ. მაქსიმილიანოვა, ლ. ლობანოვა. საუკეთესო ფიზიკურ მომზადებასთან ერთად მათ გვიჩვენეს ნებისყოფის შესანიშნავი სიმტკიცე, რაც ზოგჯერ აკლიათ სხვა გუნდებს.

მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა. მესამე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის „ისკრა", რომელმაც თავისი სწრაფი, ტემპერამენტიანი თამაშით მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა.

შემდეგი ადგილები დაიკავეს მოსკოვის „სტროიტელის", თბილისის „ნაუკის", რიგის „დაუგავას", მოსკოვის „ლოკომოტივის", კაუნასის „ჟალგირისის", ლენინგრადის „სპარტაკის", კიევის „დინამოს", ერევნის „ისკრის" და სხვა გუნდებმა.

თბილისის „ნაუკის" ქალთა გუნდის მიერ მოპოვებული მეხუთე ადგილი მთელი გუნდის და მისი მწვრთნელის სპორტის დამსახურებული ოსტატის ლ. ძეკონსკის წარმატებაა. შარშანდელ ჩემპიონატში გუნდი მხოლოდ მეცხრე ადგილზე გამოვიდა. თავი გამოიჩინეს მოთამაშეებმა ვ. გნეტოვამ, ა. ასიტაშვილმა, დ. გრიგოლაშვილმა, ნ. ტოტიაშვილმა, ა. მეუნარგიამ.

პირველობის გათამაშებამ გვიჩვენა საბჭოთა კალათბურთის მნიშვნელოვანი ზრდა. ბელორუსიის, უკრაინის და კარელია-ფინეთის გუნდები ახლა ბევრად უფრო ძლიერად თამაშობენ.

გამოვლინებულია ნიჭიერი ახალგაზრდობა: ესენია — ვაჟებიდან: მოსკოველები ვ. ტორბანი, ე. კაზაკოვი, ლენინგრადელი ვ. ფომიჩოვი, თბილისელი გ. აბაშიძე, ერევნელი ა. ამამჯიანი; ქალებიდან — ლენინგრადელი ნ. ზაზნობინა, ნ. ლიზიკი, ნ. პრიეზჟაია, მოსკოველი ნ. ლუბოვნიკინა და სხვები.

მოთამაშეთა და მწვრთნელთა სამართლიანი საყვედური გამოიწვია პირველობის გათამაშების სისტემამ. მაგალითად, თბილისის „ნაუკის" ვაჟთა გუნდმა, რომელსაც მხოლოდ სამი დამარცხება ჰქონდა, დაიკავა მე-14 ადგილი, ხოლო დონის როსტოვის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდმა, რომელსაც ცხრა დამარცხება ჰქონდა, — მე-10 ადგილი. 24 გუნდისათვის პირველობის მოკლე ვადაში გათამაშება დაკავშირებულია შემთხვევითობის ელემენტებთან, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში.

ასპარეზობას ბევრი სპორტის მოყვარული ესწრებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო მეტმა ვერ შეძლო დასწრებოდა ყველა საინტერესო შეხვედრას. დროა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველომ იზრუნოს 10-12 ათასადგილიანი საასპარეზო კომბინატის აგებისათვის.

ს. სინიაკოვი,
საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

## ფეხბურთი რუმინეთში

ომისწინა წლებში რუმინელ ფეხბურთელებს ევროპაში თვალსაჩინო ადგილი არ ეკავათ. ამ ქვეყანაში ფეხბურთის ალმავლობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების შემდეგ.

რუმინეთში ყოველწლიურად ეწყობა პირველობის გათამაშება ფეხბურთში ორ წრედ. მიმდინარე სასპორტო სეზონში ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილება „ა" კლასის 12 გუნდი.

ჩემპიონატის პირველი წრე ივლისში დამთავრდა. ლიდერად ითვლება გასული წლის ჩემპიონი არმიის ცენტრალური სახლის (ცკა) გუნდი, რომელმაც 22 შესაძლებლიდან 16 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილი 15 ქულით უკავია ბუქარესტის „დინამოს".

უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში რუმინელმა ფეხბურთელებმა მრავალი საერთაშორისო შეხვედრა გამართეს. ამ ასპარეზობათა შედეგები ასეთია: ჩეხოსლოვაკიასთან — 2:3, 2:1, 1:1, 2:2, 3:1; ალბანეთთან — 4:1, 1:1, 6:0; პოლონეთთან — 3:3, 1:0; უნგრეთთან — 1:2.

ბევრი საერთაშორისო შეხვედრა მოაწყეს რუმინელმა ფეხბურთელებმა მიმდინარე სასპორტო სეზონში.

ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის დღეებში ავსტრიის, ალჟირის, ჩეხოსლოვაკიის, ლიბანისა და ეგვიპტის ფეხბურთელებმა რუმინეთში „ა" და „ბ" კლასის გუნდებთან ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრები. 9 შეჯიბრებიდან რუმინელმა ფეხბურთელებმა მოიგეს 6 და 3 ფრედ დაამთავრეს.

დიდი წარმატება ხვდათ რუმინელ სპორტსმენებს ფესტივალის საფეხბურთო ტურნირში. ამ შეჯიბრებაში მათ მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს უნგრელ ფეხბურთელებთან 3:4 და მეორე ადგილი მოიპოვეს.

საბჭოთა სპორტის მოყვარულები რუმინელ ფეხბურთელთა თამაშს გასული წლის სეზონში გაეცნენ. პირველი შეხვედრა რუმინელებმა წააგეს ანგარიშით 1:3, ხოლო დანარჩენი ორი თამაში მოსკოვის დინამოელებთან ორივე ფრედ (1:1) დაამთავრეს.

1945 წელს რუმინეთში სტუმრად იყვნენ თბილისის დინამოელები, რომლებმაც სამი შეხვედრიდან სამივე მოიგეს. კფრს- გუნდთან 2:1, „იუვენტუსის" კლუბის ფეხბურთელებთან—10:5 და ქ. ტიმიშოარის გუნდთან — 5:0.

* * *

ამ დღეებში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება რუმინეთის ნაკრები გუნდისა და თბილისის „დინამოს" საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 22 სექტემბერს | ლ. დელიბი — ლაკმე |
| 23 სექტემბერს | ჯ. ვერდი — ტრავიატა |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**თბილისის „დინამოს" სტადიონი**
ბრძოლის ქ. № 2, ტელ. № 3-21-62

**ფეხბურთი**
ა. წ. 22 სექტემბერს „დინამოს" სტადიონზე შედგება საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში
ითამაშებენ:
რუმინეთის ნაკრები გუნდი—
„დინამო" (თბილისი)
დასაწყისი 17 საათზე.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს პათოფიზიოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი).
კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ინსტიტუტის დირექციის სახელზე უნდა წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტები.
კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ა/წ. 6 ოქტომბერს დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) **ივანე ისიდორეს-ძე ნიქობაძე** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Материалы по истории хирургии в Грузии".
ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი კ. დ. ერისთავი, პროფესორი დ. გ. მამამთავრიშვილი და პროფესორი მ. გ. ხააკაშვილი. მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

**ყურადღება! სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხით შეიძლება მოიგოთ 400-დან 100.000-მდე მანეთი**
1953 წლის 30 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 35-ე ძირითადი და მე-6 დამატებითი ტირაჟები.
მოგებათა ტირაჟებში მონაწილეობს სესხის ხუთივე გამოშვებული თანრიგის ობლიგაციები.
სესხის თვითეულ თანრიგზე ძირითად ტირაჟში გათამაშდება 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება, დამატებითს ტირაჟში კი — 11.890.600 მანეთის 11.500 მოგება.
ტირაჟებში გათამაშდება 50000, 25000, 10000, 5000, 1000 და 400-მანეთიანი მოგებანი. ამას გარდა, დამატებითს ტირაჟში გათამაშდება 100.000 მანეთიანი მოგება.
35-ე ძირითად ტირაჟში მონაწილეობს ყველა ობლიგაცია, მიუხედავად მათი შეძენის ვადისა. მე-6 დამატებითს ტირაჟში მონაწილეობს ის ობლიგაციები, რომლებიც შეძენილია 1953 წლის 1 იანვრამდე და რომლებსაც ახლავს № 6 და ყველა მომდევნო ტალონი.
1954 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები იყიდება № 7 ტალონიანად, რაც იძლევა უფლებას მონაწილეობისათვის მე-7 დამატებითს ტირაჟში, რომელიც შედგება 1954 წლის 30 სექტემბერს.
1954 წლის 1 იანვრიდან ობლიგაციები გაიყიდება უამტალონოდ. შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!
საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

მოქალაქე მიხეილ ისაკის-ძე ბატიაშვილმა, მცხოვრებმა ბნელი ხიხი № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ნადია მიხეილის ასულ აბრამიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.


ძმა ივანე, რძალი ნინო კუკავაძეები შვილებით, დები ნინო იოსავა, ბარბარე კუკავაძე, ელისაბედ მღებრიშვილი, დისწული ანასტასია მუსხელიშვილი იუწყებიან მიხეილ საბას-ძე კუკავაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-IX, 8 ს. გამოსვენება 24-IX, 6 ს. ფალიაშვილის ქ. № 7.

მეუღლე მაგდალინა, შვილები ეთერ, ედუარდ, სიძე გერონტი, შვილიშვილები თამაზ, ოთარ ცვარიანები, რძალი რუსუდან, ძმისწული ვ. ზუბიაშვილი მეუღლით იუწყებიან ალექსანდრე არსენის-ძე ომიაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-IX, 8 ს. გამოსვენება 24-IX, 5 ს. ძნელაძის ქ. № 7.

დედა ივლიტა, დები ნინო, მარო, ძმები შალვა, ვარლამ, გრიგოლ. ვახტანგ, რძლები თამარ, მარგო, ლენა, შურა გერსამიები იუწყებიან ალვასი გოგორიშვილის გარდაცვალებას.

თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან სონია ალექსის ასულ ბოდოკიას გარდაცვალებას.

ნინო, ეკატერინე. შალვა, ლუბა, თამარ, სონია გოგორიშვილები ოჯახებით იუწყებიან რძლის ალვასი გერსამია-გოგორიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IX, 6 ს. აბოვიანის ქ. № 11.

მეუღლე ლიუდმილა, შვილები თამარ, ვერა, ნინო ოჯახებით იუწყებიან ივანე დავითის-ძე მდივნიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 24-IX, 6 ს. გამოსვენება ვაჟაფშაველას ქ. № 14.

მეუღლე ნადეჟდა გიორგაძე, შვილები ნოდარ, კორნელი ინწკირველები, დეიდები მატილდა, ქეთევან გრძელიშვილები, ნინო, გიორგი, კუკური გიორგაძეები, ქეთევან გურციევი ოჯახებით იუწყებიან ვალერიან ფილიპეს-ძე ინწკირველის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IX ფამფალეთში (მახარაძის რ.).

მეუღლე პასიკო, შვილები გრიგოლ, ლუბა, გიორგი, რომან, მიხეილ, მარგალიტა, რძლები მარო, თამარ, ლოლი, ნათელა, სიძეები შ. გელაშვილი, შ. სხირტლაძე და შვილიშვილები იუწყებიან მიხეილ გიორგის-ძე ცისკაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IX, ს. სარგვეში (ორჯონიკიძის რ.).

მეუღლე ლუბა, შვილები ნათელა, შოთა იუწყებიან ნოე ნიკიფორეს-ძე დუნდუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-IX, 8 ს. გამოსვენება 24-IX, 5½ ს. მელიქიშვილის ქ. № 1.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, სამდივნოსი — 8-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 8-81-94, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 8-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 8-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 8-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 8-73-24, განცხადებების — 8-51-81, გამომშვების — 8-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 8-65-41, სტამბის დირექტორის — 8-77-70.

უე 11167 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".